

## Shopping for Groceries

### Georgian transcript:

საჭმელს სად ყიდულობთ ხოლმე? ვთქვათ შენი ოჯახის წევრები სად ყიდულობენ ან შენ?

მე არ ვყიდულობ ხოლმე ძირითადად. საჭმელს ჩემი... ბაბუაჩემი ყიდულობს ხოლმე, თავის თავზე აქვს აღებული ეგ ფუნქცია. ბაბუაჩემი ძირითადად მიდის ხოლმე ბაზარში, სადაც არის... ბაზარი საქართველოში არის... ძალიან ბევრი დახლია ერთად, სხვა და სხვა გამყიდველი, რომლებიც ძირითადად ნატურალურ პროდუქტებს ყიდიან. და ბაბუაჩემმა იცის შესაბამისად ისეთი წერტილები, სადაც უფრო გემრიელი და ნატურალური ნაწარმი იყიდება. და მაღაზიის, იგივე უბნის მაღაზიაში ნაყიდი, საჭმელი ყოველთვის არის უფრო არანატურალური და ასევე უფრო ძვირი და შესაბამისად დიდი უპირატესობა აქვს ბაზარში წასვლას. თუმცა ეს დაკავშირებულია ასევე, რომ ბაზარში არის ყოველთვის დიდი ხმაური, არის... სისუფთავე არ არის და არის ძალიან ბევრი ხალხი და შესაბამისად რაღაც ხარჯებთან არის დაკავშირებული. ბევრი უნდა იარო უფრო.

და ბაზარში რა პროდუქცია არის? ეს ძირითადად ქართული პროდუქციაა თუ საზღვარგარეთიდან შემოსული?

ძირითადად ქართული პროდუქციაა, ანუ ბოსტნეული და ხილი საქართველოდან შემოდის ხოლმე. თუმცა რა თქმა უნდა ბანანი და ტროპიკული ნაწარმი არ შემოდის საქართველოდან, სხვა ქვეყნებიდან შემოდის. მაგრამ ამ ბოლო დროს მოუხშირეს. მაგალითად კარტოფილი შემოაქვთ ამ ბოლო დროს თურქეთიდან.

### English Translation

**I:** Where do you usually buy food? Also, tell us, where do members of your family buy food?

**R:** I don't usually buy food. My granddad usually buys all the food. He has taken on that chore. He usually goes to the market, where you have many stalls in one location and many salesmen, who usually sell natural products<sup>1</sup>. My granddad knows the spots where they sell more delicious and natural products. The produce in stores, even the local ones, is usually not natural and it's more expensive, so it's better to go to the market. But going to the market also means that there's a lot of noise... It's not clean, there are a lot of people; so, there is a downside to it. You also have to walk a lot more.

---

<sup>1</sup> Georgian people say "natural products" when they are referring to products grown without chemicals.

**I:** What produce do you have in the markets? Is it usually Georgian or imported produce?

**R:** Mostly Georgian produce. The fruits and vegetables are produced in Georgia. But of course bananas and tropical fruits are not produced locally, so they are imported from other countries. But lately, they have started importing food that can be produced locally. For example, potatoes are imported from Turkey.

**About CultureTalk:** CultureTalk is produced by the Five College Center for the Study of World Languages and housed on the LangMedia Website. The project provides students of language and culture with samples of people talking about their lives in the languages they use every day. The participants in CultureTalk interviews and discussions are of many different ages and walks of life. They are free to express themselves as they wish. The ideas and opinions presented here are those of the participants. Inclusion in CultureTalk does not represent endorsement of these ideas or opinions by the Five College Center for the Study of World Languages, Five Colleges, Incorporated, or any of its member institutions: Amherst College, Hampshire College, Mount Holyoke College, Smith College and the University of Massachusetts at Amherst.

© 2013 Five College Center for the Study of World Languages and Five Colleges, Incorporated